ტირაჟი 80

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@posta.ge

499.962.1
ც-517

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ცეცხლაძე ნანა

მიმღეობა ძველ ქართულში

სპეციალობა 10.02.01 — ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ზურაბ ჭუმბურიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ელენე ბაბუნაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

2. ნანა ლოლაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის 27/2 12^30 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (P 10. 01. №7) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის 25/1

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. წიბახაშვილი/

თემის აქტუალობა

კონკრეტული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიმღეობას – ზმნის ფუძიდან ნაწარმოებ ერთეულს. ენის განვითარების ყოველ ეტაპზე იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაში.

ქართულ ლინგვისტიკაში მიმღეობის შესწავლას როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის დონეზე არაერთი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა. მიუხედავად ამისა, მიმღეობა ქართულში კვლავაც საგანგებო კვლევას მოითხოვს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ძველი ქართული ენის ტექსტებიდან მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა. ამასთან, არსებულ გამოკვლევებში ძირითადად მსჯელობაა მიმღეობის წარმოების თავისებურებებზე, ხოლო მისი ფუნქციური დატვირთვა არაა საკმარისად შესწავლილი, არადა, ეს უკანასკნელი უაღრესად საინტერესოა. მიმღეობის ფორმობრივმა და ფუნქციურმა ანალიზმა უნდა გაარკვიოს მისი როლი წინადადებაში, ახალ სიტყვათა წარმოებაში, ასევე მიმღეობის ფორმათა წარმოების ცვლა ისტორიული თვალსაზრისით. უაღრესად საინტერესოა მიმღეობის არქაული ფორმები ქართული ენის დიალექტებში. საკითხის ამგვარი გაშუქება მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც. სწორედ ზემოთქმულით განისაზღვრება საკვლევი პრობლემის აქტუალობაც.

<u>მეცნიერული სიახლე.</u> ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: გამოკვლევა წარმოადგენს მიმღეობის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის ცდას ძველ ქართულში. მასში პირველადაა გამახვილებული ყურადღება მიმღეობის პარალელურ წარმოებაზე. შრომაში მსჯელობაა მიმღეობურ კონსტრუქციებსა და მიმღეობის სიტყვათასაწარმოებელ როლზე, მიმღეობიან კომპოზიტებში გამოყოფილია საკუთრივ ქართული, ტიპოლოგიურად მსგავსი და კალკური კომპოზიტები. ყველაზე მეტად სწორედ აქ ჩანს უცხო ენათა გავლენა ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაზე.

დაბოლოს, მიმღეობის არქაული ფორმები გამოვლენილია ქართული ენის დიალექტებში.

<u>ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა</u>

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, ძველი ქართული ენის მკვლევართ, შესაბამისი დარგის სპეციალისტებს, საკითხით დაინტერესებულ პირებს. გამოკვლევა ინტერესმოკლებული არ იქნება ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც.

<u>აპრობაცია</u>

ნაშრომმა აპრობაცია გაიარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე 3. 07. 2001, ოქმი № 10.

<u>ნაშრომის სტრუქტურა:</u> ნაშრომი შედგება შესავლის, 8 თავისა და დასკვნისაგან, რომელთა საერთო მოცულობა 147 გვერდს შეადგენს. თან ერთვის შემოკლებათა განმარტებანი და გამოყენებული ლიტერატურის სია.

<u>ნაშრომის შინაარსი</u>

I თავში - "მიმღეობის წარმოება ძველ ქართულში" განხილულია პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების მიმღეობები. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ დღევანდელი პრეფიქსული წარმოების მიმღეობას ძველ ქართულში სუფიქსიც დაერთვოდა - ძველი ქართულისთვის ნიშანდობლივია პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა (ე. ოსიძე). მოპოვებული მასალის მიხედვით ძველი და ახალი ქართული ამ მხრივ მკვეთრად არ განსხვავდებიან.